



ონის მუნიციპალიტეტის მერია

ონის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

ქ. ონი



N 696
02/05/2018

696-02-4-201805021029



„ონის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების (საპროექტო დოკუმენტაციის) შესწავლისა და შეთანხმების მიზნით საკონსულტაციო (ტექნიკური) საბჭოს შექმნის შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 05 იანვრის N9 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლისა და „ონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის N14 დადგენილების საფუძველზე ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „ონის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების (საპროექტო დოკუმენტაციის) შესწავლისა და შეთანხმების მიზნით საკონსულტაციო (ტექნიკური) საბჭოს შექმნის შესახებ“ მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 05 იანვრის N9 ბრძანებაში და საკონსულტაციო საბჭო ჩამოყალიბდეს შემდეგი შემადგენლობით:

- | | |
|----------------------|---|
| მერაბ ორდინიძე | მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე; |
| ვალერიან გობეჯიშვილი | მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე, საბჭოს წევრი; |
| თეიმურაზ გმელიშვილი | მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, საბჭოს წევრი; |
| დავით რაზმაძე | მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ეკონომიკის სამსახურის უფროსი, საბჭოს წევრი; |
| გივი ბენდიანიშვილი | მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, საბჭოს წევრი; |

მიხეილ ლობჯანიძე	მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ზედამხედველობის სამსახურის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, საბჭოს წევრი;
რამაზ ჯელაძე	ს/ს ენერგო პრო ჯორჯიას დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის ონის მომსახურების ცენტრის მთავარი ინჟინერი, საბჭოს მოწვეული წევრი;
ზაზა ჯაფარიძე	გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ონის სერვის ცენტრის ტექნიკური მენეჯერი, საბჭოს მოწვეული წევრი;
გიორგი ბერიშვილი	სოკარ ჯორჯია გაზის თერჯოლის ცენტრის ამბროლაური-ონის სერვის ცენტრის სპეციალისტი, საბჭოს მოწვეული წევრი;
შორენა ბიძიშვილი	მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, საბჭოს მდივანი;
მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში, საბჭოს წევრი;	

2. ბრძანება ძალაშია 2018 წლის 1 მაისიდან;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროსესო კოდექსი“-ს თანახმად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ემზარ საბანაძე

მუნიციპალიტეტის მერი

